

სააბონენტო ნომრის პორტირების საფასური

- საქართველოში სააბონენტო ნომრების პორტირების მომსახურებას ახორციელებს შპს "მედიაპრო ჯორჯია".
- 2010 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პორტირების მომსახურების თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 38 ევროცენტს, ოპერატორების მფლობელობაში არსებულ თითოეულ სააბონენტო ნომერზე.
- 2012 წლის 1 ნოემბრიდან პორტირების მომსახურების გადასახადი კომპანიის ინიციატივით 38 ევროცენტიდან შემცირდა 30 ევროცენტამდე, ოპერატორების მფლობელობაში არსებულ თითოეულ სააბონენტო ნომერზე.

- კომპანიების მიერ პორტირების მომსახურებისათვის “მედიაპროჯორჯიაზე” გადასახდელი თანხა წელიწადში შეადგენდა საშუალოდ **6,3 მლნ. ლარს**.
- “მედიაპროჯორჯიას” მიერ 2011, 2012 და 2013 წლების განმავლობაში პორტირების მომსახურებიდან მიღებულმა საერთო შემოსავალმა შეადგინა **18,935,122 ლარი**.

პორტირების სტატისტიკა საქართველოში

მობილურ ქსელში განხორციელებული ნომრის
პორტირების რაოდენობა წლების მიხედვით

2011	2012	2013	2014
70,812	51,014	175,868	124,269

ფიქსირებულ ქსელში განხორციელებული ნომრის
პორტირების რაოდენობა წლების მიხედვით

2011	2012	2013	2014
819	2,032	1,194	618

კომისიის მიერ დამტკიცებული "სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებისა" და გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად "მედიაპროჯორჯია" ვალდებულია ავტორიზებულ პირებს, სააბონენტო ნომრების პორტირების პროცესის უზრუნველყოფის მომსახურება გაუწიოს ხარჯებზე ორიენტირებული, არადისკრიმინაციული და მათ მფლობელობაში არსებული სააბონენტო ნომრების პირდაპირ პროპორციულად დადგენილი ტარიფებით, რომელიც ითვალისწინებს გაწეულ ინვესტიციაზე გონივრულ უკუგებას.

- საქართველოს პარლამენტის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის საფუძველზე, კომისიამ 2014 წლის მარტში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება „მედიაპროჯორჯიას“ მიერ დაწესებული ტარიფების შესწავლის მიზნით.
- 2014 წლის ივნისში კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც:

- შპს „მედიაპრო ჯორჯიას“ მიერ დაწესებული ტარიფების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობა არ დასტურდება;
- კომისია უფლებამოსილია განიხილოს "სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრირების თაობაზე" კომისიასა და შპს „მედიაპრო ჯორჯიას“ შორის 2010 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების გადახედვის ან შეწყვეტის საკითხი.

საზღვარგარეთის ქვეყნებში პორტირების მომსახურების ანაზღაურების სისტემასთან დაკავშირებით ძირითადად მიღებულია:

- ფიქსირებული გადასახადი;
- კომბინირებული გადასახადი, რაც გულისხმობს ფიქსირებულ გადასახადს დამატებული პორტირებული ნომრების გადასახადი. ეს უკანასკნელი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ანაზღაურების სისტემაა.
- მხოლოდ ლიტვაში და საქართველოში: პორტირების მომსახურებისთვის დადგენილია გადასახადი ბაზარზე არსებულ მთელს ნუმერაციის რესურსზე .

სააბონენტო ნომრების პორტირების მომსახურების
საფასურის წლიური ოდენობა რიგ ქვეყნებში:

- თურქეთი - 700 000 აშშ დოლარი;
- შვეიცარია - 970 000 ევრო;
- სომხეთი - 200 000 ევრო.

მიმდინარე ეტაპზე "მედიაპრო ჯორჯიამ" დაიწყო კორტირების მომსახურების ტარიფების შემცირების პროცესი:

- 2014 წლის 1 ივლისიდან შემცირდა თავდაპირველი ღირებულების (30 ევროცენტი) 25%-ით;
- 2014 წლის 1 აგვისტოდან შემცირდა თავდაპირველი ღირებულების (30 ევროცენტი) 50%-ით;
- 2014 წლის 1 სექტემბრიდან შემცირდა თავდაპირველი ღირებულების (30 ევროცენტი) 75%-ით;

- 2014 წლის სექტემბრის თვიდან მომსახურების ტარიფი გახდა 7.5 ევროცენტი, ოპერატორების მფლობელობაში არსებულ თითოეულ სააბონენტო ნომერზე.
- დღეის მდგომარეობით ავტორიზებულ პირთა მფლობელობაშია 9 მლნ. სააბონენტო ნომერი. შესაბამისად, პორტირების მომსახურების მთლიანი საფასური წელიწადში შეადგენს 675 694 ევროს.

2014 წლის 26 სექტემბერს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები ანგარიშსწორების წესთან დაკავშირებით, კერძოდ:

პორტირების მომსახურებისათვის განისაზღვრება ფიქსირებული წლიური საფასური, რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

- მონაცემთა ცენტრალურ ბაზასთან სინქრონიზაციის მომსახურების საფასურს (მთლიანი თანხის 2%);
- სააბონენტო ნომრების პორტირების პროცესის უზრუნველყოფის მომსახურების საფასურს (მთლიანი თანხის 98%).

დებულებაში შეტანილი აღნიშნული ცვლილება
გათვალისწინებული იქნება კომისიასა და შპს
"მედიაპრო ჯორჯიას" შორის არსებულ
ხელშეკრულებაში, რომელიც ძალაში შევა 2015 წლის 1
იანვრიდან.